პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა
საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры
и спорта при Совете Министров Грузинской ССР и
Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 43 (484) პარასკევი, 12 ოქტომბერი, 1951 წ. ფასი 30 კაპ.

# მომზადებული შევხვდეთ სპორტულ ზამთარს!

**ზამთრის** სპორტული სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების წინაშე მეტად სერიოზული ამოცანებია წამოჭრილი. ამ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავენ სპორტული ზამთრის ღირსეულ, ყოველმხრივ მომზადებულ შეხვედრას, საჭიროა გეგმიანი, დაუღალავი მუშაობა.

ფიზკულტურის კომიტეტების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებელ საქმიანობაში მთავარი როლი ენიჭება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის დადგენილებას, რომელიც მოითხოვს სპორტის ზამთრის სახეებში მაქსიმალური მასობრიობისა და მაღალი ტექნიკური შედეგების მიღწევას იმ ვარაუდით, რომ საბჭოთა სპორტსმენები — მეთხილამურეები, მეციგურეები, ტრამპლინიდან მხტომელები — პირველნი იყვნენ მთელს მსოფლიოში.

საქართველოში სპორტის ზამთრის სახეების მძლავრი განვითარების შესანიშნავი პირობები არსებობს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები დღემდე არ იჩენენ სათანადო მონდომებას სპორტის ზამთრის სახეების ნამდვილი აღმავლობისათვის.

სათხილამურო სპორტი რესპუბლიკის მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დიდი სიყვარულით სარგებლობს. მაგრამ სპორტის ამ სახეში ჯერ კიდევ ნაკლებად არიან ჩაბმული ქალაქებისა და სოფლების ვაჟები და გოგონები. ამავე დროს სათხილამურო სპორტის განვითარებას დიდად უშლის ხელს სპორტის ამ სახეში საჭირო ინვენტარის სიმცირე.

მიმდინარე წელს საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა, აგრეთვე სამრეწველო დაწესებულებებმა და არტელებმა დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტში მასობრიობისა და მაღალი ტექნიკური მაჩვენებლების მოპოვების საკითხს უმთავრესად საზოგადოებრივი კადრები — ინსტრუქტორები, მწვრთნელები, მსაჯები წყვეტენ. ფიზკულტურის კომიტეტებმა, ნებაყოფლობითმა სპორტსაზოგადოებებმა მთელი სერიოზულობით, ბოლშევიკური შეუპოვრობით უნდა აწარმოონ ბრძოლა სპორტის ზამთრის სახეებში და, პირველ რიგში, სათხილამურო სპორტში საზოგადოებრივი კადრების, აგრეთვე სათხილამურო ბაზებისა და ინვენტარის მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის.

განსაკუთრებით დიდი მუშაობის, ოპერატიული ხელმძღვანელობისა და საქმიანობის ჩატარება მოუწევს „კოლმეურნეს“, რომელიც ყველაზე მასობრივი სპორტული საზოგადოებაა საქართველოში. სათხილამურო სპორტში სოფლის ახალგაზრდობის ახალი ფენების მაქსიმალური ჩაბმა, სისტემატური, გეგმიანი სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა მათთან, არსებული ბაზებისა და ინვენტარის წესრიგში მოყვანა, ახალი ბაზების მშენებლობა — აი, მთავარი ამოცანები, რომლებიც წარმატებით უნდა გადაჭრას მიმდინარე წელს „კოლმეურნემ“. ნუ დაგვავიწყდება, რომ რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში (ბორჯომი, ახალციხე, ქვემო სვანეთი, ზემო სვანეთი, ხულო, ქედა და სხვ.) მრავლად არიან თხილამურებით დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც კარგ შედეგებს აღწევენ სხვადასხვა შეჯიბრებებში.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მიმდინარე წელს უნდა გადაჭრან ჩვენთვის მეტად საჭირბოროტო საკითხი: მოამზადონ სპორტის ოსტატები და მაღალი თანრიგის მეთხილამურეები. ეს საქმე კი ჩვენში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ამავე დროს, დიდი მუშაობაა გასაწევი სპორტის ზამთრის სახეებში მშთ ნიშნოსანთა მოსამზადებლად.

ზამთრის სპორტული სეზონის წარმატებით ჩატარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ბაზებისა და ინვენტარის მაღალხარისხოვნად მომზადებას. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც არ არის რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

აქ მთავარია, რომ ფიზკულტურის კომიტეტებმა, სახელმწიფოებრივი კონტროლის ფუნქციების გამოყენებით სისტემატურად შეამოწმონ ის ორგანიზაციები, რომლებიც ამზადებენ საზამთრო ინვენტარს — თხილამურებს, სათხილამურო ჯოხებს, სათხილამურო ფეხსაცმელს, საცხს და სხვ.

ამავე დროს, საჭიროა ბოლო მოეღოს იმ დაუსრულებელ „სამზადისს“, რასაც იჩენენ რესპუბლიკის პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ჩვენთვის სპორტის ახალი სახის — ციგურაობის — დასანერგავად. საჭიროა, შიშველი სიტყვებიდან და დაპირებებიდან საქმეზე გადასვლა და იმ საციგურაო ბაზების (თბილისში, ბაკურიანში, კოჯორში) მოწყობა, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან იყო გათვალისწინებული. ქართველი ახალგაზრდობის ფიზიკური და მორალური მონაცემები ამ სახეში კარგი შედეგების მოპოვების დიდ გარანტიას იძლევა.

ზამთრის პერიოდში უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს მძლეოსანთა, ფეხბურთელთა, კალათბურთელთა და სპორტის სხვა სახეების წარმომადგენელთა სასწავლო-საწვრთნელ ვარჯიშს ღია ცის ქვეშ. სრულწლიანი ვარჯიში ღია ცის ქვეშ — საქართველოსა და უკრაინის სპორტსმენთა ეს შესანიშნავი ინიციატივა — უნდა გადაიქცეს ტრადიციად, რომელიც კიდევ უფრო მაღლა ასწევს საბჭოთა სპორტსმენების კლასს. ეს ცხადია, არ გამორიცხავს დახურული ბაზების ზამთრისათვის მომზადების აუცილებლობას.

სპორტულ ზამთარს — ღირსეული შეხვედრა! ასეთია ამჟამად რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

☆

## ფინალში გავიდნენ

დამთავრდა სპორტსაზოგადოება „სალუტის“ ცენტრალური საბჭოს ზონალური გათამაშება ფეხბურთში. ზონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის კიროვის სახელობის ქარხნისა და ერევნის ძერჟინსკის სახელობის ქარხნის გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა, რომლებიც მიემგზავრებიან ქ. კოლომნაში გათამაშების ფინალურ შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად.

ნ. მიხაილოვი

# ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი „პრავდის“ კორესპონდენტს ატომური იარაღის თაობაზე

**კითხვა.** რა აზრისა ხართ იმ ხმაურის შესახებ, რაც ამ დღეებში უცხოეთის პრესამ ატეხა საბჭოთა კავშირში ატომური ბომბის გამოცდასთან დაკავშირებით?

**პასუხი.** მართლაც, ამას წინათ ჩვენში მოეწყო ერთ-ერთი სახეობის ატომური ბომბის გამოცდა. სხვადასხვა კალიბრის ატომური ბომბების გამოცდა კვლავაც იწარმოებს ინგლის-ამერიკის აგრესიული ბლოკის თავდასხმისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის გეგმის მიხედვით.

**კითხვა.** ატომური ბომბის გამოცდასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა მოღვაწენი განგაშს ტეხენ და გაჰყვირიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროება საფრთხეშია. აქვს თუ არა რაიმე საფუძველი ასეთ განგაშს?

**პასუხი.** ასეთ განგაშს არავითარი საფუძველი არა აქვს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოღვაწეებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ატომური იარაღის არა მარტო გამოყენების წინააღმდეგია, არამედ მის აკრძალვასაც, მისი წარმოების შეწყვეტასაც მოითხოვს. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირმა რამდენჯერმე მოითხოვა ატომური იარაღის აკრძალვა, მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო ატლანტიკის ბლოკის სახელმწიფოებისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები თავს დაესხმიან ჩვენს ქვეყანას, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ატომურ ბომბს გამოიყენებენ. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა საბჭოთა კავშირი ჰქონდეს ატომური იარაღი, რათა სავსებით მომზადებული დახვდეს აგრესორებს.

რა თქმა უნდა, აგრესორებს სურთ, რომ საბჭოთა კავშირი უიარაღო იყოს მათი თავდასხმის შემთხვევაში. მაგრამ საბჭოთა კავშირი ამის თანახმა როდია და ფიქრობს, რომ აგრესორს სავსებით მომზადებული უნდა დახვდეს.

მაშასადამე, თუ ამერიკის შეერთებული შტატები არ ფიქრობენ თავს დაესხან საბჭოთა კავშირს, ამერიკის შეერთებული შტატების მოღვაწეთა განგაში უსაგნო და ყალბ განგაშად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან საბჭოთა კავშირს განზრახვა არა აქვს თავს დაესხას როდისმე ამერიკის შეერთებულ შტატებს ან რომელიმე სხვა ქვეყანას.

ამერიკის შეერთებული შტატების მოღვაწენი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ ატომური იარაღის საიდუმლოებას ფლობენ არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ სხვა ქვეყნებიც და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირი. მათ სურთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ატომური ბომბის წარმოების მონოპოლისტები იყვნენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სხვა ქვეყნების დაშინებისა და მათი შანტაჟის შეუზღუდველი შესაძლებლობა ჰქონდეთ. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა საფუძვლით ფიქრობენ ისინი ამას, რა უფლებით? განა მშვიდობის შენარჩუნების ინტერესები მოითხოვენ ასეთ მონოპოლიას? განა უფრო სწორი არ იქნება ითქვას, რომ საქმის ვითარება სწორედ საწინააღმდეგოა, რომ სწორედ მშვიდობის შენარჩუნების ინტერესები მოითხოვენ უწინარეს ყოვლისა ასეთი მონოპოლიის ლიკვიდაციას, შემდეგ კი ატომური იარაღის უთუოდ აკრძალვასაც. მე ვფიქრობ, რომ ატომური ბომბის მომხრენი ატომური იარაღის აკრძალვას მხოლოდ მაშინ დათანხმდებიან, როცა დაინახავენ, რომ ისინი მონოპოლისტები აღარ არიან.

**კითხვა.** რა აზრისა ხართ ატომური იარაღის ხაზით საერთაშორისო კონტროლის შესახებ?

**პასუხი.** საბჭოთა კავშირი მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას და ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტას. საბჭოთა კავშირი მოითხოვს საერთაშორისო კონტროლის დაწესებას იმისადმი, რომ გადაწყვეტილება ატომური იარაღის აკრძალვის, ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტისა და უკვე დამზადებული ატომური ბომბების მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო მიზნით გამოყენების შესახებ მთელი სიზუსტით და კეთილსინდისიერებით ხორციელდებოდეს. საბჭოთა კავშირი სწორედ ასეთი საერთაშორისო კონტროლის მომხრეა.

ამერიკელი მოღვაწეებიც ლაპარაკობენ „კონტროლზე“, მაგრამ მათი „კონტროლი“ გულისხმობს ატომური იარაღის წარმოების არა შეწყვეტას, არამედ ასეთი წარმოების განგრძობას, ამასთან იმ რაოდენობით, რომელიც შეესაბამება მათს ან სხვა ქვეყნების განკარგულებაში არსებული ნედლეულის რაოდენობას. მაშასადამე, ამერიკული „კონტროლი“ გულისხმობს ატომური იარაღის არა აკრძალვას, არამედ მის ლეგალიზაციასა და დაკანონებას. ამით კანონდება ომის გამჩაღებელთა უფლება — ატომური იარაღის საშუალებით ჟლიტონ ათეულ და ათასეულ ათასობით მშვიდობიანი მოსახლეობა. ძნელი გასაგები როდია, რომ ეს არის არა კონტროლი, არამედ კონტროლის აბუჩად აგდება, ხალხების მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებათა მოტყუება. გასაგებია, რომ ასეთი „კონტროლი“ ვერ დააკმაყოფილებს მშვიდობისმოყვარე ხალხებს, რომლებიც ატომური იარაღის აკრძალვასა და მისი წარმოების შეწყვეტას მოითხოვენ.

# თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს გადაეცათ ვერცხლის ჟეტონები

8 ოქტომბერს, თბილისის რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში ტევა არ იყო. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელთა გუნდის — თბილისის „დინამოს“ მისალოცად აქ თავი მოიყარეს ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა, ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების, სასწავლებლების და სხვ. წარმომადგენლებმა.

ამ დღეს ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელები, რომლებმაც მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს 1951 წლის საკავშირო ჩემპიონატში, ჯილდოვდებოდნენ ვერცხლის ჟეტონებითა და დიპლომებით.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ, რომელმაც ილაპარაკა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის შესანიშნავ წარმატებაზე.

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის სახელით „დინამოს“ ფეხბურთელებს გულთბილად მიესალმა თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ივანოვი. მან ქართველ სპორტსმენებს გადასცა ჯილდოები და უსურვა შემდგომი წარმატება.

საკავშირო კომიტეტის მეორე ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. იაკუშინი და მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მინაევი.

(დასასრული მე-3 გვ.)

სურათზე: თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. (ზევით) მარჯვნივ — გუნდის უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი, მარცხნივ — მწვრთნელი მ. მინაევი; ქვევით პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) — ა. ღოღობერიძე, ვ. პანიუკოვი, გ. ანთაძე, ვ. მარღანია, ნ. ძიაპშიპა; მეორე რიგში — მ. ჯოჯუა, ი. ვარდიმიადი, ი. ხარჯველაძე, ნ. თოდრია, კ. გაგნიძე; მესამე რიგში — რ. მახარაძე, ჯ. რუსაძე, ვ. ელოშვილი, ა. კილაძე და ა. ჭკუასელი.

## ლაპარაკობენ ჩემპიონები

◆

**ნ. ოზეროვი**
**(მოსკოვის „სპარტაკი“)**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი**

◆

ბედნიერი ვარ, რომ კვლავ მოვიპოვე სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ერთეულ თამაშებში, რომელიც დავკარგე 1947 წელს ლენინგრადელ ე. ნეგრებეცკისთან წაგებით.

გულახდილად უნდა ვთქვა, ამჯერად არ ვვარაუდობდი ასეთი წარმატების მიღწევას. საქმე იმაშია, რომ ავადმყოფობისა და მუხლის სახსრის ოპერაციის გამო მოკლებული ვიყავი წვრთნასა და შეჯიბრებებში მონაწილეობის საშუალებას თითქმის ერთი წლის მანძილზე. ჩვენი ქვეყნის პირველობისათვის მომზადება მე მოვახერხე მხოლოდ უკანასკნელ თვეში. დაჟინებით ვიმუშავე და შედარებით მოკლე დროში, ნაწილობრივ მაინც აღვიდგინე სპორტული ფორმა.

ჩვენი ოსტატების კლასი ჯერ კიდევ არ აკმაყოფილებს იმ მაღალ მოთხოვნებს, რასაც ბოლშევიკური პარტია გვიხახავს. ჩვენ, საბჭოთა ჩოგბურთელებს, არ შეგვშვენის ჩამორჩენილთა რიგებში ყოფნა. ამიტომ, მე განზრახული მაქვს, ჩემს სპორტსმენ ამხანაგებთან ერთად, სერიოზულად ვივარჯიშო ზამთრის პერიოდში, რაც შეიძლება მეტად ავიმაღლო სპორტული ოსტატობა.

საბჭოთა ჩოგბურთელები უძლიერესნი უნდა იყვნენ მთელ მსოფლიოში.

## მოიგოვეს გარდამავალი ჯილდო

ყაზანში გაიმართა „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში.

კარგი ფიზიკური და ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება გამოამჟღავნეს საქართველოს მოჭიდავეებმა, რომლებმაც რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

პირველი ადგილები და „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს 1951 წლის ჩემპიონის წოდება დაიმსახურეს: გ. ყიფშიძემ (მსუბუქი წონა), ვ. ვაჭარაძემ (საშუალო წონა) და ე. გორიუნოვმა (ქვემძიმე წონა).

გუნდური პირველი ადგილი და სპორტსაზოგადოების გარდამავალი ჯილდო — თასი რომელიც 3 წლის განმავლობაში როსტოველ მოჭიდავეებს ეპყროთ, ამჯერად მოიპოვა საქართველოს გუნდმა.

**გ. როდონაია**

—⊙—

## ასპარეზობენ ლელობურთელები

7 ოქტომბერს, ამბროლაურში და ჩოხატაურში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი კალენდარული დღის შეხვედრები ლელობურთში.

ამბროლაურში ერთმანეთს შეეჯიბრნენ ადგილობრივი და გეგეჭკორის ნაკრები გუნდები. მეტად დაძაბული ბრძოლა დამთავრდა გეგეჭკორის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 6:5.

ჩოხატაურის ნაკრებმა თავის მოედანზე მიიღო ზუგდიდის გუნდი. თამაში მოიგეს ჩოხატაურელებმა — 17:1.

**ც. დავითაძე**

—⊙—

## ფიზკულტურელთა ბრიგადა საკოლმეურნეო მინდვრებზე

**აბაშა.** რაიონში წელს ხორბლისა და სიმინდის უხვი მოსავალი მოვიდა. პირნახულის აღებაში კოლმეურნეებს დიდი დახმარება გაუწია რაიონის მოწინავე სპორტსმენების ს. მაისურაძისა და ზ. ბაკურაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულმა ფიზკულტურელთა ბრიგადამ.

**ვ. ქუშიტაშვილი**

**სურათზე:** ჩოგბურთის სტადიონის ცენტრალური მოედნის ხედი შეჯიბრების დროს. მარცხნივ წრეში — ნ. ოზეროვი, მარჯვნივ — ე. ჩუვირინა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# საბჭოთა ჩოგბურთის დათვალიერება

⊙

## დამთავრდა ჩოგბურთელთა საკავშირო გათამაშება

⊙

მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის ქალაქების, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, ესტონეთის და ლატვიის 64 უძლიერესი ჩოგბურთელი, ქალი და ვაჟი 8 დღის მანძილზე თბილისში ერთმანეთს ეცილებოდა საბჭოთა კავშირის პირად პირველობას.

ეს იყო საბჭოთა ჩოგბურთის ძალთა დათვალიერება. თბილისელი სპორტის მოყვარულნი, მთელი ქვეყნის სპორტულ საზოგადოებრიობასთან ერთად, დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს სსრ კავშირის ჩემპიონების ოქროს მედლებისა და წითელი მაისურებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას, ჩოგბურთის ოსტატთა რეზერვის — ახალგაზრდა სპორტსმენთა თამაშს. ყველას აინტერესებდა საკითხი, თუ რა წარმატებები აქვთ ნორჩ სპორტსმენებს, წამოიზარდა თუ არა ჩოგბურთელი ახალგაზრდობა, რადგან უკანასკნელი 5-7 წლის მანძილზე ძალიან იშვიათად ვხვდებოდით ახალ სახელებს საუკეთესოთა შორის.

ტურნირი ისე წარიმართა, რომ „მცოდნეთა“ პროგნოზები შეჯიბრებაში მოსალოდნელ გამარჯვებულთა შესახებ ნაწილობრივ გაცამტვერებული აღმოჩნდა. ჩემპიონის წოდების კანდიდატებად ასახელებდნენ გასული წლის ჩემპიონებს ე. ნეგრებეცკისა და ნ. ბელონენკოს, ზამთრის საკავშირო შეჯიბრებაში და უძლიერესთა საზაფხულო ტურნირში გამარჯვებულ ს. ანდრეევს, ლენინგრადის და საზოგადოება „დინამოს“ ჩემპიონს გ. კოროვინას, მოსკოვისა და „სპარტაკის“ ჩემპიონს ქ. ბორისოვას... მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ერთეულ შეჯიბრებებში პირველი ადგილის დაკავება; ზოგიერთი მათგანი პირველობის გათამაშებიდან გამოვარდა ახალგაზრდა ჩოგბურთელებთან დამარცხების შედეგად.

ყველასათვის რამდენადმე მოულოდნელად სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ ნ. ოზეროვი (მოსკოვი), რომელსაც ამ შეჯიბრებამდე ერთი წელი ავადმყოფობის გამო არ უთამაშია, და დღემდე შედარებით ნაკლებად ცნობილი ჩოგბურთელი ქალი ე. ჩუვირინა (მოსკოვი).

როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა? ვინ გამოიჩინა თავი ახალგაზრდებიდან?

პირველ წრეში ლამაზი, ტექნიკური თამაშით თავი ისახელეს ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულმა 17 წლის ი. პანკოვმა (მოსკოვი) და 20 წლის ხ. კოლომაამ (ტალინი), რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ. შეხვედრა ძნელად მოიგო მოსკოველმა.

მეორე წრეში პანკოვმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა არმიისა და უკრაინის ჩემპიონს ს. ფრიდლიანდს, რომელმაც შეხვედრა მოიგო ანგარიშით 6:1, 6:8, 6:1, 3:6, 6:4. ამავე წრეში თავი გამოიჩინა თბილისელმა ჩოგბურთელმა, 22 წლის გ. კოკაიამ, რომელიც თამაშობს გაბედულად, სწრაფად, ტემპერამენტით. მან სასახელოდ იბრძოლა ნ. ოზეროვთან, რომელსაც მოუგო ოთხიდან ერთი პარტია. კოკაიამ შესამჩნევად გააუმჯობესა თავისი დარტყმები მაღლიდან, რაშიც ის წინათ მოიკოჭლებდა; ახლა მას უკეთესად ესმის თამაშის ტაქტიკაც. ყოველივე ამან დადებითად იმოქმედა მის შედეგებზე. დამატებით თამაშებში კოკაიამ დაამარცხა პანკოვი (6:1, 7:5, 3:6, 6:2), ძლიერი ჩოგბურთელი ი. გაგერი (უჟგოროდი) და საკავშირო პირველობაში მე-9 ადგილი დაიკავა.

მაგრამ ყველაზე დიდი სურპრიზი შემოგვთავაზა ახალგაზრდობის წარმომადგენელმა ს. ფრიდლიანდმა მეოთხედფინალში. აქტიური, ზუსტი თავდაცვით, ფრიდლიანდმა დაძაბულ ორთაბრძოლაში ნეგრებეცკის ეფექტური თავდასხმის წარმოების საშუალება არ მისცა. ფრიდლიანდმა, მოუგო რა ნეგრებეცკის ანგარიშით 5:7, 6:4, 6:2, 2:6, 8:6, მოუსპო ჩემპიონს საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის საშუალება. შემდგომში ფრიდლიანდმა დაადასტურა, რომ მისი წარმატება შემთხვევითი არ იყო. ნ. ოზეროვთან ნახევარფინალში წაგების შემდეგ (0:6, 7:5, 4:6, 3:6) მან დამატებით თამაშში დაამარცხა ე. კორბუტი (მოსკოვი) — 6:3, 6:3, 6:2 — და მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი. ი. გაგერთან ერთად ფრიდლიანდმა მესამე ადგილი დაიკავა აგრეთვე ვაჟების წყვილთა შეჯიბრებებშიც. ეს ახალგაზრდა ჩოგბურთელის დიდი წარმატებაა.

მეორე ნახევარფინალში ს. ანდრეევმა, რომელიც განთქმულია მეტად ზუსტი თამაშით, დაამარცხა ე. კორბუტი (7:5, 6:4, 6:2).

ამრიგად, საკავშირო პირველობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნ. ოზეროვი და ს. ანდრეევი. პირველიდან უკანასკნელ დარტყმამდე ოზეროვმა მატჩი ჩაატარა შეუნელებელ ტემპში, მისი თამაშისათვის დამახასიათებელი შემტევი სტილით, მრავალი სხვადასხვა ტექნიკური და ტაქტიკური ხერხის გამოყენებით. ბურთის ყუმბარისებრი მიწოდების სერიებით, მარჯვნიდან მძლავრი დარტყმებით ოზეროვი წარმატებით „ახშობდა“ ბადესთან გაქროლილ ბურთებს; მეტოქისათვის სრულიად მოულოდნელად ის „ამოკლებდა“ ბურთებს, დაცვაში მეტად ეფექტურად იყენებდა მაღალ ბურთებს, რომლებიც თავზე გადაუვლიდნენ ხოლმე ბადესთან მიჭრილ მოწინააღმდეგეს.

თავის მხრივ, ანდრეევი იყენებდა საბჭოთა სპორტის სკოლისათვის უცხო, თავდაცვით ტაქტიკას, რომლის დროს გამარჯვებას მოწინააღმდეგის შეცდომებზე ვარაუდობენ.

ოზეროვმა მიაღწია ლამაზ, დამსახურებულ გამარჯვებას — 6:4, 6:1, 2:6, 6:3.

ქალთა შორის ძალიან ცოტა იყო ახალგაზრდა სპორტსმენი. მათგან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა კიეველმა ვ. კუზმენკომ, მაგრამ მან მხოლოდ მე-18 ადგილი დაიკავა.

დასკვნით, გადამწყვეტ შეხვედრისათვის არც ერთი დამარცხება არ განუცდიათ მოსკოველებს ნ. ბელონენკოს და ე. ჩუვირინას. ფინალში გასვლამდე პირველმა მოიგო შეხვედრები მ. ბაქრაძესთან, ლ. აირაპეტოვასთან (ორივე თბილისიდან), ნ. ლეოსთან (მოსკოვი) და ო. კალმიკოვასთან (კიევი). ჩუვირინამ წინასწარ თამაშებში დაამარცხა ა. კუზმინა, ნ. ნიფონტოვა (ორივე მოსკოვიდან) და გ. კოროვინა (ლენინგრადი).

ფინალში გამარჯვება წილად ხვდა, აგრეთვე შემტევი სტილით თამაშის წარმომადგენელს ე. ჩუვირინას. იგი თავისუფლად, სწრაფად მოძრაობდა და კარგად ირჩევდა ადგილს მოედანზე; ჩუვირინა პირველი შესაძლებლობისთანავე გაბედულად გადადიოდა შეტევაზე კარგად დამუშავებული დარტყმებით მარჯვნიდან და დროდადრო ჩინებულად აგვირგვინებდა კომბინაციებს. ბელონენკო კი მეტად ერთფეროვნად და პასიურად იცავდა თავს.

ფინალური შეხვედრის ანგარიშია 6:2, 2:6, 6:4 ჩუვირინას სასარგებლოდ.

სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონებმა წყვილთა თამაშში შეინარჩუნეს თავიანთი წოდება: ოზეროვმა და ნეგრებეცკიმ ვაჟების წყვილთა შორის, კოროვინამ და ნალიმოვამ — ქალების წყვილთა შორის, ნალიმოვამ და ნეგრებეცკიმ — შერეულ წყვილთა შორის.

შეჯიბრების დასასრულს, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. ივანოვმა ჯილდოები გადასცა გამარჯვებულთ. შეაჯამა რა შეჯიბრების შედეგები, ამხ. ივანოვმა აღნიშნა, რომ ჩოგბურთმა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ჩვენში მასობრივი განვითარება, რომ ჩვენი საუკეთესო მოთამაშეთა კლასმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ დონეს, რომელსაც მოითხოვს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

ამხ. ივანოვმა მოუწოდა ყველა ჩოგბურთელს თავდადებული შრომისაკენ, რათა უმოკლეს ვადაში საბრძოლო საქმეებით უპასუხონ მათ იმ მამობრივ ზრუნვას, რასაც იჩენენ საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი.

**ვ. კოლეგორსკი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## შეჯიბრება ავტოქარხანაში

**ქუთაისი.** ნაყოფიერად მუშაობს საავტომობილო ქარხანასთან არსებული საჭადრაკო წრე, რომლის ინიციატივით ამას წინათ გაიმართა შეჯიბრება საწარმოს პირველობაზე. ტურნირში გაიმარჯვა ინჟინერმა ჯ. სიხარულიძემ.

**მ. კაკიტელაშვილი**

## ლაპარაკობენ ჩემპიონები

◆

**ე. ჩუვირინა**
**(მოსკოვის „დინამო“)**
**სპორტის ოსტატი**

◆

სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება მე პირველად მოვიპოვე. არ დავმალავ, საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებამ დიდი სიხარული მომიტანა აძ წარმატებას მე დიდად ვუმადლი ჩემს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნ. ტეპლიაკოვას, რომელიც გულმოდგინედ, საქმის დიდი ცოდნით მეხმარებოდა ჩოგბურთელის ოსტატობის ყველა „საიდუმლოების“ ათვისებაში.

ამ გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ. მრავალი წლების მანძილზე ვმეცადინეობდი სპორტის ბევრ სახეში, ფრენბურთსა და კალათბურთს კი ვთამაშობდი კიევის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. ჩოგბურთის თამაში სერიოზულად დავიწყე ომისშემდგომ წლებში.

როგორია ჩემი მომავალი გეგმები? უფრო დაჟინებით ვიმუშავებ თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის შემდგომი სრულყოფისათვის. ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის (დეფექტები კი თამაშში, სამწუხაროდ, ცოტა არა მაქვს). ყოველივე ამასთან ერთად, განვაგრძობ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხელმძღვანელობას მოსკოვის „ნორჩი დინამოელის“ ჩოგბურთელებთან, რომლებთანაც აი უკვე სამი წელია ვმუშაობ.

ჩემპიონის წოდება დიდ მოვალეობას მაკისრებს.

## საჭიროა საკუთარი მოედანი

სოფელ ღადიშის კუკვიძის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ამბროლაურის რაიონში. სასოფლო-სამეურნეო არტელის ფიზკულტურულ ორგანიზაციაში სამოცამდე ახალგაზრდაა გაერთიანებული, მაგრამ სპორტული მოედნის უქონლობის გამო ისინი ფიზკულტურულ მუშაობას თითქმის მთლიანად ჩამოშორებული არიან.

კოლმეურნეობის ახალგაზრდობა სარგებლობს ღადიშის სკოლის სპორტული მოედნით. რომელიც ნორმალური მუშაობისათვის გამოუსადეგარია და ამავე დროს დიდი მანძილითაა დაშორებული კოლმეურნეობისაგან.

საჭიროა, ამბროლაურის ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღოს ეს გარემოება და დაეხმაროს კოლმეურნე ფიზკულტურელებს საკუთარი სპორტული მოედნის მოწყობაში.

**რ. კიკვიძე**
**ამბროლაურის რაიონი.**

—⊙—

## დროულად არ მოემზადნენ

სასწავლო წელი დაიწყო, მოსწავლეები ზაფხულის არდადეგების შემდეგ განახლებული ენერგიით შეუდგნენ სწავლას. ხაშურის ვაჟთა მე-12 და რკინიგზის ქალთა მე-13 სკოლები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. აქ სასწავლო ოთახებისა და კაბინეტების გარდა წესრიგში მოიყვანეს ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები, სპორტული იარაღები და სხვ.

ასევე დროულად იქნა წესრიგში მოყვანილი ხაშურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური სასწავლებლის კალათბურთის მოედანი.

მაგრამ ყველგან მომზადებული როდი შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს. მაგალითად, ქალაქის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის და რკინიგზის მე-14 რუსული სკოლის სპორტული მოედნები დღემდე სავალალო მდგომარეობაშია.

საჭიროა აღნიშნულმა სკოლებმა დროულად გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებანი, რათა მოსწავლეებს საშუალება მიეცეთ დაეუფლონ სპორტის სხვადასხვა სახეს.

**ო. კიკნაძე**
**ხაშური.**

# ენიშვნები ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატზე

„შახტიორი", ჩვენის აზრით, ტექ-ურად და ტაქტიკურად არ არის ერი იმ გუნდებზე, რომ-ბიც მან უკან ჩამოიტოვა (მოს-ის „დინამო" და „სპარტაკი"). ი წარმატება უნდა მიეწეროს დევ გარემოებას: გუნდი ფიზიკუ-ი ძალზე კარგად არის მომზადე-ლი და უაღრესად მონოლითურია. ყოველი წევრი გრძნობს დიდ უხისმგებლობას და თამაშობს თავ-ებულად, ენერგიის დაუზოგავად. დის წევრებს ყოველდღიურ ურებაში მჭიდრო მეგობრობა ვშირებს ერთმანეთთან, რაც წარ-ებათა მოპოვების ერთ-ერთი მნი-ელოვანი ფაქტორია. გარდა ამისა, ხტიორს" ძლიერი მორალური აცემები აქვს.

უნდის წარმატებას დიდად შეუწ-ხელი ფეხბურთის ვეტერანმა ა. ომარიოვმა, რომელიც თავდასხ-ხუთეულს ლიდერობდა. კო-ქტივმა (მწვრთნელი სპორტის დამ-ურებული ოსტატი ვ. ნოვიკოვი) ოდ კარგად გადაჭრა გუნდისა-ის ა. პონომარიოვის მქისმ ლუ-ა და სასარგებლოდ გამოყენების ითხი. თუ კი პონომარიოვის მოს-ის „ტორპედოში" ყოფნის დ ოს, ადსხმის ხუთეული თითქმის მთი-ად მასზე აგებდა თამაშს, „შახტ-ში" სურათი შეიცვალა. აქ პო-მარიოვი თამაშობს სხვებზე: იგი ებს კომბინაციების უმრავლესო-, ხოლო მისი ახალგაზრდა პარტ-რები ამ კომბინაციების განხორ-ებთა როლში გამოდიან. პონომარი-ი ამ დროს ნაკლებად იღებს თა-ი თავზე თამაშს (რაც აუცილებ-ად სწორია). რის მეშვეობითაც არჩუნებს ძალას მოწინააღმდეგის იზე გადამწყვეტი იერიშებისათვის.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" თვის საპატიო, IV ადგილი დაი-ვა. ეს ვოლგელთა დიდი მიღწევაა. უნდი გატანილი ბურთების მიხედ-თ არის მეთორმეტე ადგილზე, ხო-ო მიღებულით — მეორეზე. ბურ-ების შეფარდება 34:25 ნათლად ტყველებს იმაზე, რომ გუნდი კი-ვ მთლიანად ვერ განთავისუფლდა ავდაცვითი ტაქტიკით" თამაშისა-ნ, რაც საბჭოთა ფეხბურთისათვის ამახასიათებელი არ არის.

სამართლიანობისათვის უნდა ით-ას, რომ მრავალი თამაში კუიბი-ველებმა აგრესიულად ჩაატარეს ბევრ შესანიშნავ გამარჯვებას მი-წიეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდი მეოთხე ადგილზე ვერ გამო-დოდა.

„კრილია სოვეტოვს" აქვს ყოველ-არი შესაძლებლობა მთლიანად შე-ვალოს თავისი თამაშის არასწორი ქტიკა. მას ჰყავს ფეხბურთის კარ-ოსტატები გულევსკი, კოროში-ოვი, სკოროხოდოვი, კორნილოვი და ვები, კოლექტივი მონოლითურია, იზიკურად გამძლე და კარგი ბრძო-ისუნარიანი. თუ გუნდი უფრო აგ-სიულად დაიწყებს თამაშს, ცხა-ა იგი კიდევ უკეთეს მაჩვენებ-ებს მოიპოვებს.

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძ-იერეს გუნდს — მოსკოვის „დინა-ს" მეხუთე ადგილი ერგო. რითი ხსნება დედაქალაქის დინამოელთა ეთი წარუმატებლობა? უპირველეს ელისა, ამის მიზეზი შიგ გუნდში ნდა ვეძებოთ. კოლექტივის წევრ-შორის სრულებით არ არის ამხა-გური, მეგობრული განწყობილება, უნდის პოზიციები მორალურად რყეულია. არაჯანსაღი დამოკიდე-ლებაა ზოგიერთ „ყოფილ მეომ-" მოთამაშესა და მწვრთნელს შო-ს.

წარუმატებლობის მიზეზი არის ოეთვე ის, რომ გუნდის მწვრთნელ-სპორტის დამსახურებულმა ოს-ტმა ვ. დუბინინმა მთელი ჩემპიო-ტის განმავლობაში ვერ შეძლო ძი-თადი შემადგენლობის დადგენა, უხედავად იმისა, რომ კოლექტივში კმაო რაოდენობით არიან ძლიერი ეხბურთელები. მუდმივი ექსპერი-ნტები, როგორიც დაცვაში, ისე ავდასხმაში, ცალკეულ ფეხბურ-ელთა „სინჯვა" მთელი სეზონის ნძილზე, ცხადია, კარგ შედეგს ვერ მოიღებდა.

★

**ბ. პაიჭაძე,**

**თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

★ ★

გასულ წელთან შედარებით ცუდად ჩაატარა თამაშები მოსკოვის „სპარტაკმა", რომელმაც 31 ქულით VI ადგილი დაიკავა.

პირველი წრის ნახევარი გუნდმა ძლიერ სუსტად ითამაშა (ეტყობოდა, კარგად ვერ მოემზადა სეზონისათვის), რის გამო ბევრი მატჩი წააგო. გუნდის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ „სპარტაკმა" გამოასწორა თავისი სატურნირო მდგომარეობა და შემდგომში მას სამეულში მოხვედრის დიდი შესაძლებლობა ჰქონდა.

უკანასკნელი, გადამწყვეტი თამაშები სპარტაკელებმა კვლავ დაბალ დონეზე ჩაატარეს (თბილისის „სპარტაკთან" — 2:3, ლენინგრადის „ზენიტთან"—1:2 და მოსკოვის „ტორპედოსთან" 1:2) და დაკარგეს ხუთეულში მოხვედრის შესაძლებლობაც კი.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ნ. სიმონიანი წელს თავის შესაძლებლობებთან შედარებით ბევრად სუსტად გამოიყურებოდა; თავდასხმის ხუთეულის წამყვანი მოთამაშე ნ. დემენტიევი, „ვიღაცაზე ნაწყენი", ჩემპიონატში მთელი პირველი წრე არ მონაწილეობდა, რამაც, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შეასუსტა გუნდის ბრძოლისუნარიანობა.

დაბალ დონეზე ჩაატარა წლევანდელი სეზონი ლენინგრადის „ზენიტმა, რომელიც VII ადგილით დაკმაყოფილდა, ხოლო ლენინგრადის „დინამო" — ეს გამოცდილი გუნდი — დიდი ხნის მანძილზე „საშიშ ზონაში" იმყოფებოდა. უკანასკნელი 6 მატჩის მოგებით მან საგრძნობლად გამოასწორა თავისი მდგომარეობა და დაიკავა IX ადგილი.

კიევის „დინამომ" დაიკავა VIII ადგილი.

მოსკოვის ვვს-მა, რომელიც ძლიერი მოთამაშეებისაგან შედგება, მისთვის შეუფერებელი ადგილი დაიკავა (26 ქულით X ადგილი). გუნდმა ძლიერად დაიწყო სეზონი და ხუთეულში მოხვედრის იმედიც ჰქონდა, მაგრამ შემდეგში მან მთელი რიგი თამაშები დაბალ დონეზე ჩაატარა და ბევრი მატჩი ზედიზედ წააგო. ის ფაქტი, რომ მფრინავებმა ცალკეული თამაშები შესანიშნავად ჩაატარეს, მოწმობს იმას, რომ გუნდი არ იყო მობილიზებული ყოველი შეხვედრისათვის. ეს ძლიერი კოლექტივი აღმოჩნდა „საშიშ ზონაში" და უკანასკნელი თამაშის მოგებით (ვმს-თან) გადარჩა „ბ" კლასში გადასვლას.

რიგის „დაუგავამ" წელსაც მიაღწია თავის მიზანს: მოუგო უკანასკნელი მატჩი ლენინგრადის „დინამოს" და 25 ქულით დარჩა „ა" კლასში XI ადგილზე.

XII ადგილი ერგო მოსკოვის „ტორპედოს", რომელიც მთელი ჩემპიონატის მანძილზე „საშიშ ზონიდან" გამოსვლისათვის იბრძოდა. „ტორპედოს" შეუძლია კარგი თამაში, რასაც მოწმობს გამარჯვებები მოსკოვის „დინამოზე", ვვს-ზე, მოსკოვის „სპარტაკზე" და ფრე ჩემპიონთან. უკანასკნელი შეხვედრის მოგებით (მოსკოვის „სპარტაკთან") გუნდმა თავი დააღწია „ბ" კლასში გადასვლას.

გასულ წელს „ბ" კლასიდან გადმოსულმა ვმს-მა და გორკის „ტორპედომ" ვერ გაუძლეს გამოცდილ მეტოქეებთან ასპარეზობას და იძულებული გახდნენ კვლავ „ბ" კლასში დაბრუნებულიყვნენ.

მოუმზადებლად შეხვდა სეზონს თბილისის „სპარტაკი". ამიტომ გუნდმა სუსტად ჩაატარა პირველი წრე. ყოველ მატჩში იცვლებოდა 3-4-5 მოთამაშე, რაც უარყოფითად მოქმედებდა თამაშის ხარისხზე. „სპარტაკმა" სათანადო სიმაღლეზე არ მოაწყო წინასასეზონო სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, რამაც თავისი დაღი დაასვა შეჯიბრებებში გამოსვლას. ამავე დროს გუნდში დაბალ დონეზე იდგა დისციპლინა, ხშირი იყო დღის რეჟიმის დარღვევის შემთხვევები და სხვ.

„სპარტაკის" წლევანდელი შემადგენლობა გასულ წელთან შედარებით სუსტი როდია. გუნდში არიან ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები გოგლიძე, ნორაკიძე, კალოევი, ხურციძე, სიხარულიძე, დალაქიანი და სხვები, რომლებმაც მეორე წრეში ძლიერი და საზრიანი თამაში უჩვენეს მაყურებელს.

მეორე წრე გუნდმა ძლიერად ჩაატარა, რაც ძირითადი შემადგენლობის სტაბილურობის პირდაპირი შედეგი იყო. „სპარტაკმა" ბევრ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ ბევრი იყო დაკარგული პირველ წრეში; მისი ანაზღაურება მეორე წრეში შეუძლებელი აღმოჩნდა და გუნდი იძულებული გახდა გამოსულიყო XIV ადგილზე (16 ქულ.). ამ არასასიამოვნო ამბავს ხელი შეუწყო მეკარე იმელკოვის უპასუხისმგებლო მოქმედებამ გუნდის მიმართ, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის თამაშზე.

• • •

მთელი სეზონის განმავლობაში არც მოსკოვში და არც სხვა ქალაქებში არ ყოფილა მატჩები, რომელთაც „დიდი ფეხბურთის" დემონსტრაცია მოეხდინათ.

ჩვენი ქვეყნის წამყვან გუნდებს არ უთამაშიათ მათთვის ჩვეული სიძლიერით, არ გამოუმჟღავნებიათ მთელი თავისი მდიდარი არსენალი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცდსა-ს და თბილისის „დინამოს" შეხვედრას (თბილისში), რომელიც სეზონის საუკეთესო მატჩად შეიძლება ჩაითვალოს.

მთელი რიგი ჩვენი წამყვანი გუნდების არასახარბიელო თამაშის მიზეზი, პირველ რიგში, უნდა მიეწეროს მწვრთნელთა უმრავლესობის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას გუნდში და თავის თავზე. ისინი არ აწარმოებდნენ ახლის ძიებას, მათი შემოქმედებითი ფანტაზია ძალზე შეზღუდულად გამოიყურებოდა. მწვრთნელთა უმრავლესობა ეყრდნობოდა თავის გამოცდილებას, დიდი ხნის პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც მათ წარსულში მიიღეს და რომელიც თანამედროვე მზარდი ფეხბურთისათვის შეიძლება მოძველებულიც კი არის.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ დაბალია მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელების საერთო განვითარების დონე და კულტურა, რაც დიდად უშლის ხელს მათთან ნაყოფიერ მუშაობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ფეხბურთელები მთელი სიძლიერით არ თამაშობდნენ და ხშირად „თავს ინახავდნენ" ამით ისინი თავის პირად ინტერესებს გუნდის ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ, ყოყოჩობდნენ, დიდგულობდნენ და სხვ.

ცნობილი ფეხბურთელები კ. ბესკოვი, ვ. ბობროვი, ნ. დემენტიევი, ა. პეტროვი (მოსკოვის „დინამო"), ა. ზაზროშვილი და სხვები დისციპლინის მხრივ ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. ისინი მეტისმეტად არიან თავიანთ თავში შეყვარებული, მათ ხშირად პირადი ინტერესები ამოძრავებთ და ზოგჯერ თავიანთი არაამხანაგური მოქცევით, მეტიჩრობით, ყოყოჩობით და კინკლაობით ფეხქვეშ თელავენ გუნდის ინტერესებს. ასეთი ფეხბურთელების მიმართ მკაცრი ზომები უნდა იქნეს მიღებული. სწორად მოიქცა ვვს-ის ხელმძღვანელობა, როდესაც ბობროვი და მისი „თანამოაზრენი" გუნდიდან მოხსნა. უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ფეხბურთელების დასაგმობ მაგალითს, სამწუხაროდ, ხშირად ბაძავს ზოგიერთი ახალგაზრდა მოთამაშე, რითაც იგი იძენს საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელ ჩვევებს.

ჩვენ გვყავს მრავალი წამყვანი მოთამაშე — ბრწყინვალე ოსტატი და ნამდვილი ადამიანი — რომლებიც თავდადებულად, მთელი ენერგიით იბრძვიან საბჭოთა ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის. საბჭოთა ფეხბურთელები ვალდებული არიან კიდევ უფრო აამაღლონ თავიანთი ოსტატობა. ჩვენ ყოველგვარი ზომა უნდა ვიხმაროთ გუნდების ბრძოლისუნარიანობის გასადიდებლად, რათა პირნათლად შევძლოთ დავიცვათ საბჭოთა ფეხბურთის დიდება დედასამშობლოს საზღვრებს გარეთაც. უდაოა, რომ საბჭოთა ფეხბურთელები, ნიჭიერი ახალგაზრდობა ამას შეძლებენ.

---

დასასრული. იხ. გაზეთი „ლელო" № 42.

## სსრ კავშირის თასზე

### ქ. კალინინის გუნდი ფინალში გავიდა

დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების გადამწყვეტი შეხვედრები.

4 ოქტომბერს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე ჩვენი ქვეყნის 1950 წლის თასის მფლობელი, დედაქალაქის „სპარტაკი" მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდა სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდს. სპარტაკელებმა შეხვედრა დაბალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და წააგეს იგი ანგარიშით 2:3.

5 ოქტომბერს შედგა უკანასკნელი მეოთხედფინალური თამაში მოსკოვის „დინამოსა" და ქალაქ კალინინის გუნდებს შორის. კალინინელთა ახალგაზრდა კოლექტივმა გამოამჟღავნა მაღალი საბრძოლო თვისებები, კოლექტიური, მონდომებული თამაში და კარგი ტექნიკა. შეხვედრის პირველი ნახევარი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ერთ-ერთი იერიშის დროს, ქ. კალინინის გუნდის მარჯვენა შუამარბმა აკიმოვმა ოსტატურად მოატყუა დინამოელთა სამი მოთამაშე და მოათავსა ბურთი მათ კარში.

მატჩის მეორე ნახევარი ახალგაზრდა ფეხბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მატჩის საფინალო სასტვენმა აღნიშნა კალინინელთა დამსახურებული გამარჯვება — 4:1.

ამრიგად, სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ: მოსკოვის ცდსა და ვვს-ი, ქალაქ კალინინის გუნდი და სტალინოს „შახტიორი".

8 ოქტომბერს შედგა პირველი ნახევარფინალური შეხვედრა. მოსკოვის ცდსა-მ მწვავე ასპარეზობის შედეგად მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება. ერთად-ერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი, მფრინავთა კარში გაიტანა მათსავე მცველმა როგოვმა.

ახალ, შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ქ. კალინინის ფეხბურთელთა კოლექტივმა, რომელმაც 9 ოქტომბერს გამართულ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა 1951 წლის ჩემპიონატის პრიზიორი—სტალინოს „შახტიორი" — 1:0. ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში თასის გათამაშების ფინალში პირველად გავიდა „ბ" კლასის გუნდი.

ფინალური შეხვედრა — ცდსა— ქ. კალინინი — გათამაშდება მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე 14 ოქტომბერს დღის 3 საათზე.

## საქართველოს პირველობა

# ზუგდიდელთა წარმატება

7 ოქტომბერს ზუგდიდის „დინამომ" მორიგი შეხვედრა ჩაატარა თბილისში 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდის ფეხბურთელებთან.

მიუხედავად ძლიერი წვიმისა, თამაშმა თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო და სწრაფ ტემპში წარიმართა. დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და მალე პირველი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. თბილისელები გადავიდნენ საპასუხო შეტევაზე, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლეს.

შესვენებამდე დინამოელები თავის სასარგებლოდ ადიდებენ ანგარიშს, რასაც თბილისელები ერთი ბურთით პასუხობენ.

მეორე ნახევარი მასპინძელთა მძაფრი იერიშებით დაიწყო. თბილისელები ახერხებენ დინამოელთა დაცვის დეზორგანიზებას და აი, მეორე ბურთი ეხვევა ზუგდიდელთა კარის ბადეში; მაგრამ მალე სტუმრები მონდომებული თამაშით ახერხებენ შეხვედრაში გარდატეხის მიღწევას, ინიციატივის ხელში ჩაგდებას და თამაშის დამთავრებამდე კიდევ ორი ბურთის გატანას.

საინტერესო მატჩი დამთავრდა ზუგდიდელთა გამარჯვებით — 4:2.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრების დაცვამ, სადაც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ხვედელიძე, თუთბერიძე და კორძაძე. შეწყობილად, ენერგიულად ჩაატარა შეხვედრა თავდასხმამაც. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდმა, განსაკუთრებით მისმა თავდასხმამ, საგრძნობლად გააუარესა თამაშის კლასი.

9 ოქტომბერს ზუგდიდის „დინამომ" ჩაატარა უკანასკნელი მატჩი ტტს-თან. ამ თამაშში ზუგდიდელებმა კვლავ ისახელეს თავი, მაყურებელს უჩვენეს საკმაოდ კარგი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება და მოიპოვეს საპატიო გამარჯვება ტრამვაელთა ძლიერ კოლექტივზე ანგარიშით 3:1.

ზუგდიდის „დინამომ" დაამთავრა საქართველოს პირველობის გათამაშება. იგი 34 ქულით (52 შესაძლებლიდან) ჯერჯერობით მეორე ადგილზე იმყოფება.

ზუგდიდელი ფეხბურთელების წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გუნდის მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. გაგუას.

**დ. ცომაია,**

**საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.**

* * *

### გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 12 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოფიც. სახ. თბ. | 24 | 21 | 2 | 1 | 99:14 | 44 |
| „დინამო" ზუგ. | 26 | 13 | 8 | 5 | 54:28 | 34 |
| „დინამო" ქუთ. | 26 | 14 | 6 | 6 | 57:34 | 34 |
| ტტს თბ. | 21 | 14 | 3 | 4 | 35:17 | 31 |
| „დინამო" ბათ. | 26 | 12 | 6 | 8 | 50:35 | 30 |
| „დინამო" მახ. | 24 | 12 | 4 | 8 | 46:37 | 28 |
| 26. კომ. რ. თბ. | 21 | 11 | 4 | 6 | 39:34 | 26 |
| „დინამო" სოხ. | 25 | 8 | 6 | 11 | 37:33 | 22 |
| „დინამო" თელ. | 25 | 8 | 6 | 11 | 41:64 | 22 |
| „დინამო" ფოთ. | 25 | 6 | 7 | 12 | 27:43 | 19 |
| „დინამო" გორი | 25 | 5 | 6 | 14 | 27:46 | 16 |
| „სპარტაკი" ბ. | 25 | 5 | 4 | 16 | 27:68 | 14 |
| „დინამო" სტ. | 25 | 5 | 4 | 16 | 32:75 | 14 |
| „ლოკომოტ." ხ. | 26 | 3 | 4 | 19 | 36:77 | 10 |

# თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს გადაეცათ ვერცხლის ჟეტონები

დასაწყისი იხ. 1-ლ გვ.

ვერცხლის ჟეტონები და მეორე ხარისხის დიპლომები გადაეცათ სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ა. დოლობერიძეს, ვ. პანიუკოვს, გ. ანთაძეს, სპორტის ოსტატებს ვ. მარღანიას, ი. სარჯველაძეს, ი. ძიაპშიპას, ი. ვარდიმიადის, ნ. თოდრიას, მ. ჯოჯუას, ჯ. რუსაძეს, ვ. ელოშვილს, რ მახარაძეს, ფეხბურთელებს კ. გოგნიძეს, ა. კილაძეს, ა. ჭკუასელს.

„დინამოს" ფეხბურთელებს გულთბილად მიესალმნენ: თბილისის სპორტული საზოგადოებრიობისა და ფიზკულტურელების სახელით სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების სახელით — ნ. რამიშვილი, თბილისის 35-ე ვაჟთა სკოლის მოსწავლეთა სახელით — ო. ჯებაშვილი, თბილისის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით — თ სიგუა, ქალაქის პიონერების სახელით — ნორჩი მოსწავლე მ. მაჩაბელი.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ყალავანდიშვილმა „დინამოს" ფეხბურთელებს გადასცა საქალაქო კომიტეტის დიპლომები და ძვირფასი საჩუქარი—ბროლის თასი.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები მ. იაკუშინი და ა. დოლობერიძე.

საღამოს ესწრებოდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. შადური.

• • •

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

# ს ა ვ ა ლ ა ლ ო დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

◆

## დამთავრდა საქართველოს პირველობა წყალბურთში

◆

**ფოთი.** (ჩვენი სპეც. კორ.). წყალბურთი სპორტის ერთ-ერთი წარმტაცი სახეა. იგი სპორტსმენისაგან მოითხოვს ჩინებულ ფიზიკურ მომზადებას, მრავალფეროვან ტექნიკურ და ტაქტიკურ ოსტატობას, მაღალ მორალურ ჩვევებს. ბოლო წლებში წყალბურთმა ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში; საუკეთესო საბჭოთა გუნდები შესანიშნავად ფლობენ წყალბურთის რთულ ტაქტიკურ-ტექნიკურ ელემენტებს, მორალურად და ფიზიკურად კარგად არიან გამოწრთობილი.

საგრძნობლად გააუმჯობესეს თამაშის კლასი საქართველოს წყალბურთელებმაც. კერძოდ, თბილისის „დინამომ" 1951 წლის საკავშირო ჩემპიონატში მისთვის საპატიო, მე-6 ადგილი დაიკავა.

ამას წინათ ფოთში დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები სიძლიერის მიხედვით დაყოფილი იყვნენ 2 ჯგუფად: I ჯგუფში თამაშობდნენ: „ვოდნიკი" (ფოთი), „დინამო" (თბილისი), ფაბრიციუსის სახელობის კლუბის კოლექტივი (ბათუმი) და „დინამო" (სოხუმი); II ჯგუფში — „მედიკი" (გაგრა), „დინამო" (ბათუმი) და „ბურევესტნიკი" (ფოთი). თბილისის „დინამოს" მეორე გუნდი შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა დედაქალაქის „დინამომ", რომელმაც ყველა შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონს „ვოდნიკმა". გუნდების ასპარეზობა მწვავე ბრძოლით აღინიშნა და დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 6:3.

ასევე საინტერესო იყო ჩემპიონის მატჩი ბათუმელებთან, რომელიც თბილისელებმა მოიგეს (4:2). მხოლოდ სოხუმის „დინამომ" ვერ გაუწია თბილისის „დინამოს" სათანადო წინააღმდეგობა და დიდი ანგარიშით — 0:9 — წააგო თამაში.

გამარჯვებულთა ღირსებას ტურნირში იცავდნენ: რ. გუგუშვილი, ა. გეგელია, ლ. კრილოვი, ნ. გვახარია, ქ. ივანესიანი, ვ. მაქსიმოვი, ვ. სამარინი, გ. ფედოროვი.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ფოთისა და ბათუმის გუნდების თამაში, რომელიც მეორე ადგილის ბედს წყვეტდა. მწვავე ბრძოლის შემდეგ თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3. ბურთების უკეთესი შეფარდებით მეორე ადგილი ერგოთ ბათუმის წყალბურთელებს. მეოთხე ადგილზე გავიდა სოხუმის „დინამო".

II ჯგუფში ბათუმის „დინამომ" ადვილად დაამარცხა ორივე მოწინააღმდეგე და დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა ფოთის „ბურევესტნიკი".

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ საქართველოში წყალბურთის განვითარებას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. თვით პირველობის ორგანიზაციაც არ იდგა ჯეროვან სიმაღლეზე; უფერულად ჩაიარა შეჯიბრების გახსნამ: წყალჯომარდობის სადგური არ იყო სათანადოდ გაფორმებული, არ ჰქონდათ თამაშის ანგარიშის აღმრიცხველი დაფები და სხვ. მოხდა ასეთი კურიოზული შემთხვევაც: ჩემპიონატის ალამის აღმართვისას კანაფი გაწყდა და დროშა ძირს ჩამოვარდა. განა ძნელი იყო ამ საქმის წესიერად მოგვარება, მისი წინასწარი შემოწმება?!

საქართველოს პირველობაში 8 გუნდის მონაწილეობა ძლიერ ცოტაა. ყოველივე ზემოთქმულს არასახარბიელო დასკვნებამდე მივყევართ:

ჯერ ერთი, საკითხავია, რატომ არ მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში თბილისის „ისკრის", „ტრუდის", განათლების განყოფილების გუნდები;

მეორე — რატომ დღემდე არ ჰყავთ წყალბურთელთა გუნდები „ნაუკას", „ლოკომოტივს", საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტსა და ტექნიკუმს, აგრეთვე მცხეთას, რომელსაც ყველა პირობა აქვს კარგი კოლექტივის მომზადებისათვის;

მესამე — ცუდადაა დაყენებული წყალბურთის განვითარების საქმე ზღვისპირა ქალაქებში. უსუსურად გამოიყურებოდა სოხუმის „დინამო", რომელმაც წააგო ყველა შეხვედრა. გარდა სუსტი ტექნიკური მაჩვენებლებისა, სოხუმის გუნდში დაბალ დონეზე დგას პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობაც. გუნდი თამაშობს უხეშად, ხოლო ბათუმელებთან შეხვედრის დამთავრების შემდეგ სოხუმელები წესისამებრ არ მოეწყვნენ და არ მიესალმნენ სპორტულ მეტოქეს (!);

მეოთხე — დაბალ დონეზე იდგა მსაჯობა. ჩვენში წყალბურთის მსაჯთა რიცხვი მეტად მცირეა და არც მათი სპორტული კვალიფიკაცია დგას დამაკმაყოფილებელ დონეზე. განვლილ შეჯიბრებაში მრავლად იყო უხეშობის ფაქტები, რასაც მსაჯები ხშირად ლმობიერად უყურებდნენ. ამას შესანიშნავად გამოხატავს შემდეგი ამბავი: მთელი შეჯიბრების მანძილზე დანიშნულ იქნა მხოლოდ ერთი 4-მეტრიანი საჯარიმო.

პირველობამ ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ წყალბურთს ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. არ ეწყობა მწვრთნელებისა და მსაჯთა მოსამზადებელი სემინარები, არ იმართება ქალაქების წყალბურთელთა ტრადიციული შეხვედრები, თამაშები საბჭოთა კავშირის უძლიერეს გუნდებთან და სხვ.

წყალბურთი ჩვენში ნამდვილად მასობრივი უნდა გახდეს. მხოლოდ ეს იქნება სპორტული დაოსტატების საიმედო საწინდარი.

**ვ. სამარინი,**
**რ. ქორიძე.**

◆

## ი. მოსკაჩენკოვის ბრწყინვალე შედეგი

**მოსკოვი.** (ჩვენი კორ.). 3 ოქტომბერს, ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ სტადიონზე გამართულ 30 კილომეტრზე რბენაში სტარტი მიიღო 17 სპორტსმენმა, რომელთა შორის იყო სსრ კავშირის 1951 წლის ჩემპიონი მარათონულ რბენაში—სპორტის ოსტატი ი. მოსკაჩენკოვი.

შესანიშნავ სპორტულ ფორმაში მყოფი მოსკაჩენკოვი სტარტიდანვე დაწინაურდა.

მთელი დისტანცია — 30 კილომეტრი — ი. მოსკაჩენკოვმა გაირბინა ბრწყინვალე დროში — 1 საათში, 38 წუთსა და 54,0 წამში.

ეს შედეგი 20,6 წამით უმჯობესია ფ. ვანინის მიერ 1949 წელს დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე.



**თბილისში, ვაკის მიდამოებში მიმდინარეობს ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ნაუკის" სტადიონის მშენებლობა. სურათზე: სტალინის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები მშენებლობაზე.**

## თბილისის თასი მაგიდის ჩოგბურთში

დამთავრდა რესპუბლიკის დედაქალაქის თასის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 11 კოლექტივი: თბილისის ჰიდრო-ენერგოპროექტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, სპორტსაზოგადოება „ისკრის" და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საპატიო ჯილდოსათვის ბრძოლა ძირითადად ორ გუნდს შორის გაიმართა. ესენი იყვნენ ჰიდრო-ენერგოპროექტის ნაკრები და „ისკრა". ფინალურმა შეხვედრამ მათ შორის გადაწყვიტა თასის ბედი: ინჟინერთა ძლიერმა კოლექტივმა ყველა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა (12:5).

# ს ა კ ვ ა ლ ი ფ ი კ ა ც ი ო ტ უ რ ნ ი რ ი

შეუპოვარი ბრძოლებით აღინიშნა ოსტატების და ოსტატობის კანდიდატების თბილისში ახლახან დამთავრებული საკვალიფიკაციო ტურნირი, რომლის უკანასკნელმა ტურებმა მრავალი მოულოდნელი შედეგი მოიტანეს.

ოსტატობის წოდებისათვის ენერგიულად იბრძოდნენ თბილისელები მ. შიშოვი და ა. ფირცხალავა, რომლებსაც ამისათვის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ.

ამავე დროს, ბოლო 5 ტურში შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ბ. გურგენიძემ იმდენად გამოასწორა თამაში, რომ მასაც შეექმნა საპატიო წოდების მოპოვების რეალური შესაძლებლობა. ჭაბუკმა მოჭადრაკემ ზედიზედ დაამარცხა საბჭოთა კავშირის უძლიერესი ოსტატები ლ. არონინი და ი. ლიპნიცკი, მოუგო ოსტატ მ. კამიშოვს და ყაიმით დაამთავრა პარტია ს. ფურმანთან. უკანასკნელ ტურში მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა უკრაინის 1951 წლის ჩემპიონ ოსტატ ა. ბანნიკთან პარტიაში. ამრიგად, გურგენიძემ უკანასკნელ ხუთ ტურში დააგროვა 4½ ქულა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გურგენიძემ ოსტატებთან შეხვედრებში დააგროვა 6½ ქულა ათიდან, რაც მეტყველებს ნიჭიერი მოჭადრაკის უტყუარ ზრდაზე.

XV ტურში შიშოვმა პეტროსიანთან ყაიმი გააკეთა და დააგროვა 8½ ქულა, რითაც შეასრულა ოსტატობის მისაღებად საჭირო ნორმა.

ფირცხალავამ შედარებით სუსტად ჩაატარა ბოლო ტურები. რამდენიმე ყაიმის შემდეგ მან წააგო ა. ბანნიკთან, რითაც საგრძნობლად გაიუარესა მდგომარეობა; ბოლო ორი ტურიდან მას ესაჭიროებოდა 2 ქულა. სუეტინთან ყაიმით და გიორგაძესთან მოგებით ფირცხალავამ მხოლოდ 8 ქულით დაამთავრა შეჯიბრება.

ფირცხალავა და გურგენიძე, რომელთაც ოსტატობის მისაღებად დააკლდათ მხოლოდ ½ ქულა თითოეულს, უდაოდ ღირსნი არიან ატარონ საჭადრაკო ხელოვნების ოსტატის საპატიო წოდება.

ამრიგად, ამ საინტერესო ტურნირის საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება: ა. სუეტინი — 11½ ქულა, ა. ბანნიკი და ტ. პეტროსიანი — 9½ თითოეულს, ლ. არონინი, ვ. კასპარიანი და მ. შიშოვი — 8½ თითოეულს, ს. ფურმანი, ა. ფირცხალავა, და ბ. გურგენიძე — 8 ქულა თითოეულს, ნ. ნოვოტელნოვი და გ. გოლდბერგი — 7½ თითოეულს, ი. ლიპნიცკი — 6½ ქულა, ა. ბლაგიძე და თ. გიორგაძე — 5 ქულა თითოეულს, ვ. ქარსელაძე — 4½ ქულა და მ. კამიშოვი — 4.

**თ. გიორგაძე,**
ოსტატობის კანდიდატი.

**ამას წინათ, პარიზში დამთავრდა ევროპის პირველობის გათამაშ ფრენბურთში. საბჭოთა კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა გუნდ მა ამ შეჯიბრებაზე გამოამჟღავნეს მაღალი ოსტატობა. მათ გაიმარჯვ ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ლიის და სხვა გუნდებზე და კვლავ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის პატიო სახელი. სურათზე: საბჭოთა კავშირისა და იტალიის ვაჟთა დების შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.**

საქდესის ფოტოქრონი

## ე. ზატოპეკის სამი მსოფლიო რეკორდ

ერთსაათიანი რბენა მძლეოსნობის ერთ-ერთი უძველესი სახეთაგანია— მას უკვე მთელი საუკუნის ისტორია აქვს. ოფიციალური მსოფლიო რეკორდი ერთსაათიან რბენაში ეკუთვნის ვილიო ხეინოს (ფინეთი) და უდრის 19 კილომეტრსა და 339 მეტრს. ეს რეკორდი ხეინომ დაამყარა 1945 წელს, რითაც გადააჭარბა ფინელი პაავო ნურმის მიღწევას (19 კილომეტრი და 210 მეტრი), რომელიც ძალაში იყო 17 წლის მანძილზე.

წელს პირველად გამოცადა თავისი ძალები ერთსაათიან რბენაში ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკის პოპულარულმა სპორტსმენმა 29 წლის ემილ ზატოპეკმა და შესანიშნავ წარმატებასაც მიაღწია. მან 15 სექტემბერს 200 მეტრზე მეტით გადააჭარბა ფინელ ვილიო ხეინოს რეკორდს და უჩვენა 19 კილომეტრი და 558 მეტრი, მაგრამ მაშინვე ცხადი გახდა, რომ ზატოპეკი მალე შეძლებდა უფრო მაღალი შედეგის მოპოვებას.

29 სექტემბერს პრაღის მახლობლად, ქ. ხოუშკოში გამართულ შეჯიბრებაზე ე. ზატოპეკმა მიაღწია შესანიშნავ წარმატებას — ერთდროულად 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მონაწილეობდა რა 20 კილომეტრზე რბენაში, ჩეხოსლოვაკიის ბრწყინვალე ატლეტმა მძლეოსნობის ისტორიაში პირველად გაირბინა ეს დისტანცია ერთ საათზე ნაკლებ მის მიერ ნაჩვენები დრო — 5 თი და 51,8 წამი — მნიშვნელ ჭარბობს მის წინანდელ შედე სექტემბერს ზატოპეკმა უჩვენ — 1.01:16,0). უკანასკნელ 8,2 ზატოპეკმა გაირბინა 52 მეტრ 100 მეტრი დაახლოებით 16 სისწრაფით) და, ამრიგად, და ახალი მსოფლიო რეკორდი ე თიან რბენაში — 20 კილომეტ 52 მეტრი.

გზად ე. ზატოპეკმა გააუმჯ 10 მილზე (16 კილომეტრი მეტრი) რბენის რეკორდი. მან ნა 48:12,0, რითაც 50,2 წამით უმჯობესა ვ. ხეინოს ადრინ მიღწევა.

ზატოპეკმა მთელი დისტანცი ირბინა მეტად თანაბარ ტ პირველი 5.000 მეტრი დ 14:57,5, მომდევნო — 14:56; მე მონაკვეთზე ტემპი ოდნ ნელდა — 15:01,5, მაგრამ უ ნელ 5 კილომეტრზე ზატოპე ვენა 14:57. პირველ 10 კილ ზე მას ჰქონდა 29:53,5, ხოლო რეზე — 29:58,5. ყველაზე ტემპი იყო მე-15 კილომეტ 3:02,5, საფინიშო კილომეტრი ირბინა 2:52.

ამრიგად, ემილ ზატოპეკმა დროულად სამი მსოფლიო რე გააუმჯობესა.

## უცხოეთში

⊙ ამას წინათ, ზანგმა სპრინტერმა მაკდონალდ ბეილიმ (ტრინიდადის კუნძული) გაიმეორა ზანგი ჯესი ოუენსის (1936 წ.) მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში—10,2 წამი. გასული წლის ბოლოს ზანგი ლა ბიჩის მიერ ნაჩვენები შედეგი ამ დისტანციაზე — 10,1 — მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჯერჯერობით არ არის დამტკიცებული ოფიციალურ მსოფლიო რეკორდად.

⊙ დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში. მოგვყავს საყურადღებო ტექნიკური შედეგები: 100 და 200 მ. — ოტავა — 10,8 და 22,5; 400 მ. — პოდებრადი — 49,0; 800 მ.—კოდრალი — 1:53,9; 1.500 მ. —ჩევონა— 3:50,0; 5.000 მ. — შვარცი — 14:48,4 (ე. ზატოპეკი არ მონაწილეობდა); 110 მეტრი თარჯებით — მრაზეკი — 15,1; 400 მ. თარჯებით — მორავეცი — 54,6; სიგრძეზე ხტომა — პროხაცკა — 7,08; ჭოკით ხტომა — საკსა — 4,00; ბირთვი — სკობლა — 15,79; ურო—დადაკი — 54,24. ქალთა შორის მოდრახოვამ მოიგო: 100 მ. — 12,6, 200 მ. — 26,7, 80 მეტრი თარჯებით — 12,1 და სიმაღლეზე ხტომა — 1,55. ოუნგროვამ გაიმარჯვა ბადრის ტყორცნაში — 42,83 და ბირთვის — 13,50. შუბი ყველაზე ტყორცნა ზატოპკოვამ — 48,0

⊙ ქ. ტამპერეში (ფინეთი) თულ საერთაშორისო შეჯიბ მარათონულ რბენაში გაიმარჯ ნელმა კარვონენმა, რომელ კილომეტრი და 195 მეტრი გ საუცხოო დროში — 2 საათ წუთსა და 07 წამში (5.000 — 17,45; 10.000 მეტრი — 15.000 მეტრი — 52,20; ნ მანძილი — 1 საათში, 13 წუ 40 წამში; 32 კილომეტრი — 1 ში, 51 წუთსა და 23 წამში) ადგილი დაიკავა შვედმა იანს 2.29:19.

⊙ ევროპის რეკორდსმენმა სოლინიმ (იტალია) ჰელსინკში რო ტყორცნა 54,04 მეტრზე ფინელმა ნიუკვისტმა — 49,09 ზე. მერი საარინენმა დაამყ ნეთის რეკორდი ქალთა შორი თვის კვრაში — 12,56 მეტ მეტრზე რბენაში კარგ შედეგ — მიაღწია ფინეთის მუშათა ტული კავშირის (ტულ) მძლ ხოლმბერგმა.

პასუხისმგებელი რედაქტ
მ. კაკაბ

გაზეთი გამოდის პარასკეობით. რედაქციის მისამართი თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, II სართული. დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო". ტელეფონი

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000.